ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა

კომისიის სხდომა

ოქმი N 01

13. 01. 2026 წ.

მიმდინარე წლის 13 იანვარს, 12 საათზე ჩატარდა ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა კომისიის სხდომა; სხდომას ესწრებოდნენ კომისიის თავმჯდომარე დათო ფურელიანი, წევრები: ირაკლი ფურელიანი, კახა ლიპარტელიანი, მერიის ეკონომიკის განვითარების სამსახურის უფროსი ბაჩუკი გაზდელიანი, მოწვეული სპეციალისტი სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების ინფრასტრუქტურის, ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა კომისიებში - ამირან ლიპარტელიანი, სხდომის მდივანი ნანი ბენდელიანი.

ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა კომისიის თავმჯდომარემ დათო ფურელიანმა კომისიას გააცნო დღის წესრიგი შემდეგი საკითხებით :

1. სოფ. ცანაში მცხოვრებ, მოქალაქე ზური გასვიანის განცხადების განხილვა.

/მომხ. დ. ფურელიანი/

2. სსიპ საჯარო ეროვნული სააგენტოს წერილი - 11.10.2024 წ. N 231463 გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდების და დამისამართების თაობაზე.

/მომხსენებელი დ. ფურელიანი/

1. კომისიის თავმჯდომარემ დათო ფურელიანმა კომისიას გააცნო სოფ. ცანაში მცხოვრები, მოქალაქე ზური გასვიანის (პ/ნ 53001013019) განცხადება, რომელიც ითხოვს ცანის ტერიტორიულ ერთეულში შემავალ, ყორულდაშის ტერიტორიაზე მდებარე, ძველი, ამორტიზირებული საავადმყოფოს შენობის შესყიდვას.

დ. ფურელიანმა გამოთქვა აზრი, რომ შენობა, რომელსაც ითხოვს ზ. გასვიანი არის დანგრეული, ფაქტიურად განადგურებული, ზური გასვიანს უნდა ამ შენობის აღდგენადა ამუშავება, ამუშავების შემთხვევაში, კანონით დადგენილი წესით, შემოსავლის გარკვეული თანხა ჩაირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში; ამასთანავე ეს

ტერიტორია არის სასაზღვო ტერიტორია - სტრადეგიულად მნიშვნელოვანი ადგილი ქვემო სვანეთისთვის.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის განვითარების სამსახურის უფროსმა ბაჩუკი გაზდელიანმა მიუთითა, რომ საჭიროა პირველ რიგში, ზემოთ აღნიშნულმა განმცხადებელმა მიმართოს ადგილობრივ მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით, შემდეგ კი თანმიმდევრულად მიეცემა მსვლელობა აღნიშნულ საკითხს.

2. სსიპ საჯარო ეროვნული სააგენტოს წერილი N297620 30/12/2025 გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდების და დამისამართების თაობაზე -

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ 2025 წლის 24 დეკემბერს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარედგინა ლადიკო ჩანქსელიანის (პ/ნ 53001006596) M25016774 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია ნომრის მინიჭება უძრავი ნივთისთვის საკადასტრო კოდით - 87.03.27.047. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის თანახმად, აღნიშნული უძრავი ნივთის საინდეფიკაციო მონაცემად მითითებულია - მუნიციპალიტეტი ლენტეხი, ადმინისტრაციულიერთეული ხელედი, ნაკვეთი 047. ამასთან, მარეგისრირებელ ორგანოში, შესაბამისი უძრავი ნივთის მიმდებარედ განთავსებული ქუჩის სახელწოდების შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება.

საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით გთხოვთ, გაგვიწიოთ სამართლებრივი დახმარება და მოგვაწოდოთ ინფორმაცია თანდართულ სიტუაციურ ნახაზზე მითითებული გზის მონაკვეთი სახელდებულია თუ არა.

განმცხადებლის ინტერესების გათვალისწინებით, მოგმართავთ შუამდგომლობით შეაფასოთ შესაბამისი ტერიტორია და ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის, ,,გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 20215 წლის 1 ივნისის N 239 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრეციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის" თანახმად განახორციელოთ გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

შენიშვნა: ქუჩის სახელდების საჭიროების შემთხვევაში, ქუჩათა და გზათა ქსელის მართებულად დაგეგმარებისათვის აუცილებელია მუნიციპალიტეტმა თავად განსაზღვროს გეოგრაფიული ობიექტის გავრცელების არეალი (დასაწყისი, დასასრული) და მისი ტიპი.

ამირან ლიპარტელიანმა თქვა, რომ ადგილობრივ თვითმმართველობას შეუძლია მიიღის ნორმატიული აქტი, რის საფუძველზეც არსებული ხელედის N8 ქუჩის არეალის სიგრძე გაგრძელდეს და მოიცვას ის ადგილი სადაც მდებარეობს ლადიკო ჩანქსელიანის უძრავი ნივთი კოდით - - 87.03.27.024.

იმსჯელეს და გადაწყვიტეს: 1. მოქალაქე ზური გასვიანს გაეგზავნოს პასუხი - ცანის ტერიტორიულ ერთეულში შემავალ, ყორულდაშის ტერიტორიაზე მდებარე, ძველი, ამორტიზირებული საავადმყოფოს შენობის შესყიდვის შესახებ - განცხადებით უნდა მიმართოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას.

2.საკითხზე - სსიპ საჯარო ეროვნული სააგენტოს წერილის - 11.10.2024 წ. N 231463 გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდების და დამისამართების პასუხად, გაიგზავნოს წერილი, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სამისამართო დეპარტამენტის უფროსთან ქალბატონ ნინო გახიასთან, რომ ,, ლადიკო ჩანქსელიანის უძრავი ნივთი საკადასტრო კოდით 87.03.27.047. მდებარეობს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფ. ხელედის N 8 ქუჩის ბოლოში; გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდების, ტიპისა და მისი გავრცლების არეალი; ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტის მიღება" საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე .

სხდომა დასრულდა 14 საათზე.

წარმოდგენილია ამ ქუჩის ორთო-ფოტოს ფრაგმენტი, სადაც ასახულია სოფ. ხელედის N 8 ქუჩის (გაგრძელების) არეალი

სიგრძე და მოიცვას ე.წ. დასახლება - ,,ძუღვარეში". N 8 ქუჩის (გაგრძელების) არეალი საჯარო რეესტრი ითხოვს ადგილობრივი თვითმმართველობისგან ნორმატიული აქტის მიღებას, რის საფუძველზე გაგრძელდეს არსებული N 8 ქუჩის არეალის

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა

კომისიის თავმჯდომარე : /დ. ფურელიანი/